სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/65

ქ. თბილისი 26 04 2018 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით სარგებლობის წესი (დანართი #1).
2. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY OFFICE

დანართი #1

დამტკიცებულია

სტუ-ს რექტორის 2018 წლის

„26“ ---------#01-09-10/65---------ბრძანებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით სარგებლობის წესი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში - უნივერსიტეტი) ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების ფონდით (ყველა სახის ბეჭდური და ელექტრონული რესურსით) სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ამავე უნივერსიტეტის:

ა) სტუდენტს (პროფესიულ სტუდენტს);

ბ) აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალს;

გ) მოწვეულ სპეციალისტს.

2. უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აბონენტს ემსახურება ოთხი დარბაზი:

ა) პრესისა და ინფორმაციის დარბაზი;

ბ) წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ვერსიების დარბაზი;

გ) ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი;

დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი.

3. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის პრესისა და ინფორმაციის სამკითხველო დარბაზში მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო, მხატვრულ და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს.

4. უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში გასაწევრიანებლად აუცილებელი დოკუმენტებია:

ა) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (სტუდბილეთი, სტუ-ს მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობა);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში ყოველი სააბონენტო მომსახურებისათვის აუცილებელია მკითხველის ბილეთის წარდგენა.

6. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების წიგნადი ფონდით მომსახურება ითვალისწინებს შემდეგ პროცესებს:

ა) საბიბლიოთეკო ერთეულების დროებით (ერთი სემესტრით) მფლობელობაში გადაცემას;

ბ) ერთადერთი ეგზემპლარის ან იშვიათი წიგნით სარგებლობას მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი პროფილის სამკითხველო დარბაზში.

7. სტუდენტს ერთ ჯერზე შეუძლია ინდივიდუალური გამოყენებისათვის ფონდიდან მიიღოს სხვადასხვა დასახელების 10-12 ბეჭდვითი ეგზემპლარი (მოთხოვნა შესრულებული იქნება არაუმეტეს ორი საათის განმავლობაში). თუ ამ წესის მე-5

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს კვლავაც სჭირდება იგივე ლიტერატურა, აუცილებელია მისი ხელახალი რეგისტრაცია.

8. პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისათვის წიგნით (ჟურნალით, ელექტრონული ვერსიებით) სარგებლობის ვადა არის 1 თვე.

9. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შრომითი ხელშეკრულების დამთავრების (პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა პერსონალისათვის) შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებისათვის, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა გასცემს შესაბამის ცნობას სათანადო აღნიშვნით.

10. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების კუთვნილი საბიბლიოთეკო ერთეულის დაკარგვისას, აბონენტი ვალდებულია:

ა) აღადგინოს დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეული იდენტური გამოცემით;

ბ) ზარალი აანაზღაუროს თანხით. (თანხის რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით: დაკარგული ერთეულის ღირებულებას პლუს 50 (ორმოცდაათი) ლარი.

11. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზებში მკითხველს ასევე შეუძლია ისარგებლოს ყველა სახის ბეჭდური და ელექტრონული რესურსით და ასევე, კომპიუტერული დარბაზით, რაც გულისხმობს:

ა) წიგნადი და საჟურნალო ფონდის ელექტრონული ევრსიების გაცნობა-გამოყენებას;

ბ) ინტერნეტ საიტებით სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო მასალების მოძიებას;

გ) ბიბლიოთეკათაშორისო შეთანხმების საფუძველზე სხვადასხვა უმაღლესი სკოლების ელექტრონული კატალოგების გაცნობას;

დ) საერთაშორისო ონლაინ მონაცემთა ბაზებით სარგებლობას;

ე) სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვებას (ჩათვლებისა და საგამოცდო ქულების შემოწმებას, სხვადასხვა საგრანტო მონაცემების გაცნობას და ა.შ.).

12. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების დარბაზებში იკრძალება სხვადასხვა გასართობი და სათამაშო (სასწავლო პროცესთან შეუსაბამო) საიტებით სარგებლობა.

13. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება საინტერნეტო წვდომა „wifi“.

14. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების დარბაზებში აკრძალულია მობილური ტელეფონის გამოყენება.